ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ივლისი, შაბათი, 1986 წ.
№ 134 (9225) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# რაინდთა შთამომავალი



**„ძვირფასო რედაქციავ!**
**მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, ძალიან მიყვარს ფეხბურთი, კალათბურთი, საერთოდ სპორტი, მაგრამ იმის გამო, რომ სოფელში ვცხოვრობ, არ მეძლევა შესაძლებლობა საკუთარი თვალით ვიხილო ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები.**
**მართალი გითხრათ, ამ ერთი წლის წინათ საერთოდ არ ვიცოდი, რა იყო თანამედროვე ხუთჭიდი. ვახტანგ იაგორაშვილის წარმატებებმა გამაცნო და შემაყვარა სპორტის ეს რაინდული სახეობა...“**

არა, ეს წერილი ჭიათურის ზონის სოფელ რგანში მცხოვრებ ანა გველესიანს კეთილი ნების თამაშებზე ვახტანგ იაგორაშვილის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ არ გამოუგზავნია. იგი დაახლოებით ერთი თვის წინათ მივიღეთ და მხოლოდ შესაფერის მომენტს ვეძებდით გამოსაქვეყნებლად.

**ეს მომენტიც** დადგა. კეთილი ნების თამაშებში ვახტანგის გამარჯვება მოულოდნელობად არავის მიუჩნევია. სპეციალისტები თავიდანვე სწორედ ვახტანგს უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, რადგან მისი ბოლოდროინდელი სტაბილური გამოსვლები იძლეოდა ამის გარანტიას. მაგრამ მთავარი და განსაკუთრებით აღსანიშნავი ის გახლავთ, რაოდენ დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა ვახტანგმა კეთილი ნების თამაშების ჩემპიონის ტიტული. თანაც, გუშინდელი იუნიორი ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში პირველად იცავდა ქვეყნის ძირითადი ნაკრების ღირსებას. იცავდა როგორც... ლიდერი.

და მაინც, იცით, ცნება ლიდერი, ფავორიტი, თანამედროვე ხუთჭიდში ერთობ პირობითია. ყოფილა შემთხვევა, ის, ვინც მსოფლიო პირველობაზე თუ ოლიმპიურ თამაშებზე აშკარა ფავორიტად მიუჩნევიათ, საერთოდ გამოსთიშვია ბრძოლას ან პირველი დღის დანაკარგი ვეღარ აუნაზღაურებია. თანამედროვე ხუთჭიდში კი პირველი დღე ცხენოსნობას ეთმობა. ეს ისეთი სახეობაა, წინასწარ ვერასგზით ვერ განსაზღვრავ, რამდენ ქულას დააგროვებ. ცხენები წილისყრით ნაწილდება. მერე კი სულ ოცი წუთი გეძლევა იმისთვის, რომ შენ გონიერ „თანაშემწესთან“ საერთო ენა გამონახო.

**● გიჭირთ ცხენთან საერთო ენის გამონახვა?** — ვკითხე ერთხელ ვახტანგს.

— გამიგონია, ცხენს ადამიანის ენა ესმისო. მჯერა, რომ ასეც არის. ამიტომ მასთან ადვილად ვპოულობ საერთო ენას.

**● იმ ოც წუთს, რაც ცხენის გასაცნობად გეძლევათ, პირადად თქვენ, როგორ იყენებთ?**

— ცხენი გრძნობს, როგორი განწყობილებით მიდიხარ მასთან. ზოგი, აქაოდა კარგი ცხენი არ შემხვდაო, განაწყენებულია. ეს განწყობა ცხენსაც გადაეცემა. ჩემთვის კი სულ ერთია, ყოველთვის ალერსით ვიწყებ ცხენის გაცნობას, ვეფერები, ერთად მივაბიჯებთ, ვმუსაიფობთ; ხანდახან შევჩერდები, თვალებში ჩავხედავ, თავზე ხელს გადავუსვამ, მერე, ხან ნაბიჯს ავაჩქარებთ. ხან გავიქცევით კიდეც ერთად. მხოლოდ ამის შემდეგ ვჯდები ცხენზე. ვცდილობ ზედმეტად არ გავალიზიანო. მათრახს იშვიათად ვხმარობ.

ჩვეული წესისთვის ვახტანგს არც ამჯერად უღალატია. „კონსილიუმი“, რომელიც მას წილისყრით შეხვდა, ცუდი ცხენი არ იყო. 1040 ქულა ცხენოსნობაში მაქსიმუმი როდია, მაგრამ ფავორიტისთვის ეს მაინც არ არის წარმატების გარანტია.

როგორც ამბობენ, სროლაშიც შეიძლება მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ქულების წინასწარ დაგეგმვა არც ფარიკაობაში ხერხდება..

სამ სახეობაში ასპარეზობის შემდეგ ვახტანგი ლიდერი არ იყო, მაგრამ ცურვამ არსებითი კორექტივები შეიტანა ოქროს მედლის მაძიებელთა რიგებში.

**ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ცურვაში სერგეი ფესენკო (კიევი):**
— აღტაცებული ვარ — თურმე რამდენი შესძლებია ხუთჭიდელს. ვახტანგის შედეგები ალბათ ბევრ მოცურავესაც კი შეშურდება. ამ სიმპათიურმა ყმაწვილმა სამართლიანად მოინადირა სპორტის მოყვარულთა გულები.

იხ. მე-3 გვ.

# საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში

**გუშინ** გაიმართა კოლეგიის მორიგი სხდომა. კოლეგიამ ფართოდ და მკაცრად იმსჯელა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგიერთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში ბავშვთა შორის სასწავლო-სპორტულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში საგანგებო რეიდ-შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ. გამოირკვა შემაშფოთებელი და საგანგაშო ფაქტები — ადგილებზე გულგრილად ეკიდებიან ბავშვთა საბანაკო ცხოვრებას, არაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, უხარისხოა კვება, თვითდინებაზეა მიშვებული მოზარდების გართობა-დასვენება, სპორტული და აღმზრდელობითი მუშაობა. ვრცელი მამხილებელი მასალა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება.

განიხილეს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხი. კოლეგიის სხდომაზე მოიტანეს კონკრეტული მაგალითები, როცა უხეშად ირღვეოდა სოციალისტური თანაცხოვრების წესები და უშრომელი შემოსავლისკენ მისწრაფებამ სპორტშიც იჩინა თავი. ამ მიმართებით თავიანთ კოლექტივებში გაწეული მუშაობისა და სამომავლოდ დასახული ამოცანების შესახებ კოლეგიაზე ინფორმაციით გამოვიდნენ უშუალოდ სპორტსახკომის დაქვემდებარებაში შემავალი მსხვილი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოლეგიამ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ დაეგზავნება.

მოისმინეს ინფორმაცია სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების ნახევარი წლის გეგმების შესრულების შესახებ. ითქვა, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელია, მაგრამ კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მთლიანად გეგმები აუცილებლად უნდა შესრულდეს არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად იმ სახეობებშიც, რომლებშიც დაგეგმილია სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადება.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე რამდენიმე სხვა საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილებები.



# სტუმრად ზესტაფონელ მეტალურგებთან

**ორ** დღეს იმყოფებოდა ზესტაფონში სახელოვანი ქართველი მოჭადრაკე, მსოფლიოს ექსჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ძვირფასი სტუმარი გაეცნო ქალაქის სპორტულ ცხოვრებას — დაათვალიერა გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის სპორტული კომპლექსი, საცურაო აუზი... ახალგაზრდულ კლუბ „დიალოგში“ შეხვდა რაიონის კომკავშირულ აქტივს, სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს ესაუბრა ქართული სპორტის მომავალზე, მოინახულა საჭადრაკო კლუბი, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორთან ლ. წეროძესთან ერთად ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა.

ზესტაფონის კულტურის სახლში ნონა გაფრინდაშვილი შეხვდა ჭადრაკის გულშემატკივრებს — წაიკითხა ლექცია და უპასუხა შეკითხვებს.

ბოლოს სახელოვანმა ჩემპიონმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ოც დაფაზე. მან 17 პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა. ამ წარმატებას მიაღწიეს ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ჰ. ვასაძემ, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გ. თურქაძემ და საქმთავარენერგოს ინჟინერმა რ. მერკვილიშვილმა.

**პეტრე ნეზიერიძე.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

**სურათზე:** ნონა გაფრინდაშვილი ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს.

**ტარიელ სალაძის ფოტო.**

**შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა ტყვიის სროლაში**

# კვლავ ნინო სალუქვაძე

**ნინო** სალუქვაძის სახელი სპორტის მოყვარულებმა პირველად ამ ორიოდე წლის წინ, მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე გაიგეს. მაგრამ მაშინ ნინო მოსწავლე იყო და მხოლოდ იმედისმომცემ სპორტსმენად ითვლებოდა. ახლა მისი წარმატებების ამბავს, თანაც დიდ და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებიდან სულ უფრო ხშირად ვგებულობთ.

ამას წინათ, ნინო მინსკში, შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირადგუნდურ პირველობაში მონაწილეობდა და სროლის მოყვარულებს კვლავ დაამახსოვრა თავი — პნევმატური პისტოლეტით სროლაში 388 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

# პრემია — დახმარების ფონდში

**როგორც** ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასული წლის მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაიმსახურა. ამასთან, ინსტიტუტი დაჯილდოვდა 3000 მანეთი ფულადი პრემიით. ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ეს თანხა ინსტიტუტის კოლექტივმა ჩერნობილელთა დახმარების ფონდში გადარიცხა.

**13 ივლისს დაიწყება და 20 ივლისს დამთავრდება მოცურავის საკავშირო კვირეული. წყლის რომანტიული სამყარო უხმობს ყველას, ვისაც სურს გაიკაჟოს ორგანიზმი, ჩააბაროს მზდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივი, მიიღოს ცურვის შესწავლის გაკვეთილები.**



ოსტატი და შეგირდი

# ყველაფერი თავიდან დაიწყო

**გახსოვთ ტარიელ ულენტი? უსათუოდ გემახსოვრებათ, რადგან ამ საუკეთესო მსროლელმა — სამგზის მსოფლიო და შვიდგზის ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონმა სულ ახლახან მიატოვა სარბიელი.**

რომელ მოზარდს არ უოცნებია პაპისეული თოფი ჩამოეღო კედლიდან და გაესროლა, რომელ მათგანს არ უთამაშია ომობანა... ნაირ გარჯას აზრი ეკარგება, ოსტატი უბრალო ხელოსნად შეიძლება იქცეს“.

სპორტში ერთმანეთის მსგავსი ორი დღე არ არსებობს. ოსტატიც და შეგირდიც მუდმივ ძიებაში არიან, სპორტი უგულისყურობას, ზარმაცობას არ გაპატიებს. ეს პატარებმა კარგად იციან. მწვრთნელს არ ახსოვს, ვინმეს არასაპატიო მიზეზით ვარჯიში გაეცდინოს ან დაეგვიანოს.



ტარიელ ულენტი (მარცხნივ) აღსაზრდელებთან.

არც მომავალი ჩემპიონი ყოფილა გამონაკლისი...

ბავშვობაში, როგორც ყველა თანატოლს, ტარიელსაც უყვარდა შურდული. სხვებზე ზუსტად ისროდა, მამამ იფიქრა, შურდულმა მეტისმეტად არ გაიტაცოსო და ბიჭი ერთხელ მწყერზე სანადიროდ წაიყვანა. ყველას გასაკვირად, ტარიელმა მამას აჯობა. ეს მისი პირველი გამარჯვება იყო. მეორე დღესვე მამამ ცნობილ მსროლელთან, ზურაბ მაჩხანელთან მიიყვანა ბიჭი. ქუდბედიანი აღმოჩნდა ის დღე... გადიოდა დრო, ტარიელი სწრაფად ოსტატდებოდა. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა. ამბობენ, პირადი მაგალითის ძალა დიდიაო, დიახ, მაჩხანელის გაზრდილი სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

40 წელს რომ გადააბიჯა, მხოლოდ მაშინ გამოეთხოვა სპორტს, მაგრამ არა საბოლოოდ — გადაწყვიტა მწვრთნელი გამხდარიყო. დღეს იგი საქართველოს ნაკრების წევრებს ავარჯიშებს. ნორჩებსაც ასწავლის სროლის ანაბანას... „გუნდის შექმნა, მისი თითოეული წევრის აღზრდა ურთულესი პროცესია. როდესაც არჩევანის წინაშე დავდექი, პატარები ვარჩიე, მინდა ყველაფერი თავიდან დავიწყო, საკუთარი გუნდი შევქმნა. მათთან ვარჯიში ალბათ უფრო ძნელია და უფრო საპასუხისმგებლო. ბავშვები კარგ მოქალაქეებად, საზოგადოების ღირსეულ წევრებად უნდა აღვზარდო, უამისოდ ყველა-

„სროლა ყველა მოზარდს უყვარს. თუ ერთხელ დააჭერინე თოფი, მერე ძნელად გააგდებინებ ხელიდან. ვარჯიშზე მოსულებს შინ წასვლა ავიწყდებათ. კარგი ბიჭები მყავს. განსაკუთრებით გიგა ქიშმარეიშვილი, ზურაბ ულენტი და ირაკლი ქელბაქიანი მინდა შევაქო. ჯერჯერობით მიმართლებენ ბიჭები“.

საკუთარ გუნდზე ზრუნვა დიახაც მწვრთნელის მოვალეობაა, მაგრამ ცოტა სხვამაც უნდა მოგხედოს, გაიგოს შენი სატკივარი, დაგეხმაროს. ამაზე მწვრთნელი გულისტკივილით ლაპარაკობს.

„ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გადაუჭრელი პრობლემა ბაზების უქონლობაა. დღესდღეობით მხოლოდ მახარაძისა და ზუგდიდის სასროლეთი თუ გამოდგება სავარჯიშოდ. თბილისის ბაზა ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. ამის თაობაზე, ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა, მაგრამ ჩვენთვის ქალაქში ტერიტორიის გამოყოფას და მშენებლობის დაწყებას დღემდე ვერ დაადგა საშველი.

ჯგუფში ოცდახუთამდე ბავშვია. მეტის მიღების საშუალება არა გვაქვს, არც თოფი გვყოფნის და არც ვაზნები. მსურველი უამრავია, მაგრამ ჩვენ ნახევარზე მეტს უარით ვისტუმრებთ. ვინ იცის, რა შესაძლებლობების ყმაწვილებს ვკარგავთ...“

მანანა სოსელია.

პრობლემა

# შაში შველას ითხოვს

**შაშის** თამაში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-IV საუკუნეში იყო ცნობილი ძველ ეგვიპტეში. აქედან გავრცელდა იგი მთელს მსოფლიოში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ფარაონ ტეტუ-მარკნერის სარკოფაგში იპოვეს ხელნაწერები, მათ შორის ფარაონის დღის რეჟიმი. ფარაონის გასართობი ყოფილა ნადირობა, თევზაობა და შაშის თამაში. ხელნაწერებთან ერთად აღმოჩნდა შაშის 30-უჯრედიანი დაფა და სპილოს ძვლისაგან დამზადებული ფიგურები.

მეცნიერული გამოკვლევებით ამ თამაშის ისტორია დაახლოებით 50 საუკუნეს ითვლის. ეგვიპტიდან შაში ჯერ საბერძნეთში, ხოლო შემდეგ ძველ რომში გავრცელებულა. პირველად სწორედ იქ გამოუყენებიათ 64-უჯრედიანი დაფა. თამაში განიხილებოდა როგორც ორი არმიის ბრძოლა და რომაელები მას საომარი სახელწოდებით „ლატროთი“ იხსენიებენ. ამ თამაშს ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ, თუმცა იგი ძირითადად მაინც „დამას“ სახელით იყო ცნობილი. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ შუა საუკუნეებში შაშით დაინტერესებული ყოფილან მანდილოსნები.

ამჟერად შაშის სამი სახე არსებობს: 64, 100 და 144-უჯრედიანი (ამ უკანასკნელს მხოლოდ კანადაში თამაშობენ). აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამაში 100-უჯრედიანი შაში ერთ-ერთი სავალდებულო საგანია.

რუსეთში შაში გავრცელებას იწყებს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში კი იგი ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში შაშის თამაშს ამდენი ხნის ისტორია აქვს, გასაკვირი პრობლემები და გადაუჭრელი საკითხები მაინც ბლომად დაგვიგროვდა. დავიწყოთ იმით, რომ პოპულარობის მხრივ შაშს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში მასობრივი თვალსაზრისით სპორტის სახეობებს შორის მე-8 ადგილზეა. ოფიციალური მონაცემებით საბჭოთა კავშირში შაშს 3 მილიონი ადამიანი მისდევს, ჩვენს რესპუბლიკაში კი ორიათას კაცსაც ვერ დავითვლით.

ჩვენი ქვეყნის ბევრი რესპუბლიკის ხალხს საკუთარ ენაზე აქვს შაშის სახელმძღვანელო. რუსეთის ფედერაციაში, მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, მოლდავეთში, ლატვიაში, ლიტვასა და აზერბაიჯანში შაში ქალაქისა თუ რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი.

საქართველოს ნაკრები თითქმის ყველა საკავშირო პირველობასა და თასის გათამაშებაში შესამჩნევად ჩამორჩება სხვებს. მიზეზი? საქართველოში შაშს ნაკლები ყურადღება ექცევა, არც სახელმძღვანელო გვაქვს ქართულ ენაზე, პრესა, რადიო და ტელევიზია ნაკლებ ყურადღებას უთმობს შაშის პრობლემებს. შეჯიბრებებიც იშვიათად იმართება. ბევრი წამყვანი ოსტატი და პერსპექტიული ოსტატობის კანდიდატი თავს ანებებს სპორტის ამ სახეობას.

შაშის თამაშზე ჩვენში მცდარი წარმოდგენა აქვთ. მარტივი წესების გამო, იგი პრიმიტიულ თამაშად მიაჩნიათ. სინამდვილეში კი, თუ ადამიანი მის სილამაზეს და შინაარსს ჩაწვდა, შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი თაყვანისმცემელი იყოს.

ჩვენში შაშის განვითარების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ იგი ჭადრაკმა დაჩრდილა. ბევრი მხოლოდ ჭადრაკს თვლის ჭკვიანურ, გონებამახვილურ თამაშად, არადა, შაში მას არც სილამაზით, არც გონებამახვილობით და არც შორსმჭვრეტელობით არ ჩამოუვარდება.

როგორც ვთქვით, შაში ძალზე მარტივი, პრიმიტიული თამაში ჩანს, რადგან ყველა ფიგურები ერთნაირი ძალისაა. აქ არ არიან არც მხედრები, არც ეტლები, არც ლაზიერები, არც მეფეები და ასე შემდეგ, მაგრამ ამ თამაშში ფიგურა ისე შეიძლება გაძლიერდეს, რომ მოწინააღმდეგეს დიდი ხიფათი შეუქმნას. არიან სუსტი და პასიური ფიგურებიც, გარკვეულ სიტუაციებში „გამცემი“, ანუ გამყიდველები, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეგიშალონ და პარტია წაგაგებინონ.

ჟან-ჟაკ-რუსო თვლიდა, რომ მიუხედავად უბრალო წესებისა, შაში იმიტომ არსებობს, რომ წარმოშვას გენია. შაშის თამაშს დიდად აფასებდნენ ცნობილი მეფეები და მხედართმთავრები: პეტრე I მაღალ შეფასებას აძლევდა შაშს და თვითონაც კარგად თამაშობდა. უყვარდათ იგი სხვა დიდ მხედართმთავრებსაც, მათ შორის კუტუზოვს და სუვოროვს. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ვოლტერი დიდი მოყვარული ყოფილა როგორც ჭადრაკის, ისე შაშის. პოლონელი მწერალი ეჟი მიეცკი თავის ბრწყინვალე წიგნში „ჭადრაკთან ერთად საუკუნის შემდეგ“ წერს: ნაპოლეონი უპირატესობას შაშს ანიჭებდა, რადგან შაშის ტაქტიკას იგი საბრძოლო ტაქტიკას უსადაგებდა. ვილჰელმ ლიბკნეხტი თავის მოგონებაში წერდა: „კ. მარქსი იყო შაშის ბრწყინვალე მოთამაშე, თანაც ისე ოსტატურად თამაშობდა, რომ ძნელი იყო მისი დამარცხება“. მარქსი დიდი სიამოვნებით თამაშობდა ჭადრაკსაც,

თუმცა განსაკუთრებული წარმ... ბეში არ ჰქონია. — ფილოსოფი... და მათემატიკის დოქტორი ემ... უილ ლასკერი, რომელიც 27 წ... მანძილზე ფლობდა მსოფლ... ჩემპიონის ტიტულს ჭადრაკში, დი... პატივს სცემდა შაშს, კარგ... დაც თამაშობდა და შაშის ეტ... უდების და კომბინაციების შედგ... ნაც მოსწონდა. იგი ამბობდა, რ... შაში ჭადრაკის დედაა, თანაც ღირს... ული დედა. აქ მას მხედველობ... ში ჰქონდა შაშის დიდი ხნის ის... ტორია და სიბრძნე. ცნობილ... ფრანგი მწერალი და ფრანგულ... შაშის სახელმძღვანელოს ავტორ... ფელიქს ჟანი სიტყვამოსწრებუ... ლად წერს: „თუ ჭადრაკი გონებ... რივი თამაშის მეფეა, მაშინ შა...

მისი პრემიერმინისტრი ყოფილა...“ მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკ... ტიგრან პეტროსიანი 100-უჯრედ... ან შაშში ოსტატობის კანდიდატ... იყო. იგი წერდა, 100-უჯრედიან... შაშის კომბინაციები უფრო ეფექ... ტურია და იგი სირთულით ჭად... რაკის კომბინაციებს არ ჩამოუვა... რდებაო.

ისევ ჩვენს რესპუბლიკაში დ... ვბრუნდეთ. დიახ, მდგომარეობ... ძალზე სერიოზულია, 64-უჯრ... დიან შაშში 8 წელიწადია სპორ... ტის ოსტატი არა გვყოლია, 10... უჯრედიან შაშში კი 10 წლის მანძი... ლზე სულ 2 ოსტატი მომზადდ... ოსტატები თითზე ჩამოსათვლელ... გვყავს.

ერთი სიტყვით, შაშს შველა ... ქომაგობა ჭირდება. ვინ ითავ... ამ საქმეს? ძნელი სათქმელ... ჩვენი აზრით, ეს სახეობა სპორ... სკოლებში უნდა დაინერგოს. პ... ონერთა და მოსწავლეთა სასახლ... მაც ხელი უნდა გამოიღოს. მას... ბრივი ინფორმაციის საშუალებ... ბმაც უნდა შეგვაწიოს სიტყვ... ნუ დაგვავიწყდება, რომ შა... ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებ... ადამიანს, ასწავლის ლოგიკურ ა... როვნებას, ხელს უწყობს ნიჭ... განმტკიცება-განვითარებას, გამოუ... მუშავებს გონების ხანგრძლივ... დაძაბულობის ატანის უნარს, გა... ძლეობას, უვითარებს წარმოსა... ხვას და, რაც მთავარია, ასწავ... ლის წინააღმდეგობათა გადალა... ვას გამარჯვებისკენ მიმავალ გზა... ზე.

**ალექსანდრე ბერუაშვილი,**
საქართველოს ექვსგზის ჩემ... პიონი, სპორტის ოსტატი, ს... ქართველოს სახელმწიფო ფ... ზიკური კულტურის ინსტიტუ... ტის პედაგოგიური ფაკულ... ტეტის III კურსის სტუდენ... ტი, ლენინური სტიპენდიანტ...

საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

# სარბიელი ზუგდიდმა შესთავაზა

**ის** ფაქტი, რომ სტარტზე ჩვენი ტანვარჯიშის ლიდერები ეკა ზეთურიძე და ვლადიმერ გოგოლაძე არ გამოსულან (ისინი საკავშირო შეკრებაზე მიიწვიეს შესაბამისად ეშერასა და მოსკოვში), ცხადია, გარკვეულად უკარგავდა ინტერესს რესპუბლიკის ჩემპიონატს სპორტულ ტანვარჯიშში (მრავალჭიდი), რომელსაც ამჯერად ზუგდიდი მასპინძლობდა. სამაგიეროდ, გამარჯვების შანსები მონაწილეთა დიდ ჯგუფს მიეცა, ერთი სიტყვით, ფავორიტების არყოფნამ ბრძოლა გაათანაბრა.

თბილისელები ტურნირზე ორი გუნდით წარსდგნენ. მეტოქეობას აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და ზუგდიდის ტანმოვარჯიშეები უწევდნენ. აფხაზეთისა და გორის გუნდებიც უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ მათ რატომღაც თავი აარიდეს ჩემპიონატს.

ცხადია, გუნდური ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად თბილისელებს შორის წარიმართა. საქართველოს დედაქალაქის პირველი ნაკრების წევრებმა აჯობეს მეორე შემადგენლობას, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. მესამე ადგილზე ორივე შეხვედრაში აჭარელი ტანმოვარჯიშეები გავიდნენ.

ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო თბილისელმა (პირველი გუნდი) ალექსანდრე ლებედევმა, მაგრამ მან ფეხი იტკინა და მთელი ძალით ველარ შეძლო გამოსვლა. მის ნაცვლად ტურნირს სათავეში ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების ჩემპიონი ნუგზარ ლვინიაშვილი (თბილისი-I) ჩაუდგა, რომელიც ორი დღის შემდეგ დამაჯერებლად უგებდა ბრძოლას ძირითად კონკურენტს. მაგრამ მასაც უმუხთლა ბედმა — ძალზე სუსტად გამოვიდა ტაიჭზე და მხოლოდ 7,5 ქულა მიიღო. ამასობაში ლიდერს წამოეწივნენ თბილისის მეორე გუნდის წევრები ემზარ ფუნთუშაშვილი და ლევან სისაური, რომლებმაც მრავალჭიდში შესაბამისად 108,015 და 107,95 ქულა მოაგროვეს და კვარცხლბეკის პირველ და მეორე საფეხურებზე ავიდნენ. მესამე ადგილზე 107,375 ქულით ნ. ლვინიაშვილი გავიდა.

ოსტატობის კანდიდატებში ყველას აჯობეს თბილისელმა იოსებ სონიაშვილმა და ზუგდიდელმა დავით ვარცხავამ (ორივე — 104 ქულა). გამარჯვებულებს 3 ქულით ჩამორჩა თბილისელი ვაჟა სადღობელაშვილი.

პირველთანრიგოსანთა პროგრამით მხოლოდ ზუგდიდელები ასპარეზობდნენ. ვახტანგ კვირკვიამ და ცეზარ ტომარაძემ 108 ქულა მოაგროვეს, ზვიად ყალიჩავამ — 106,2.

ოსტატი გოგონებიდან ყველაზე მეტი ქულა (70,45) თბილისელმა ლია ხუზაურაშვილმა მოაგროვა. მას ოდნავ ჩამორჩნენ თანაქალაქელები მარინე ხუციშვილი (69,025) და ლალი ქოჩიშვილი (68,325). ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა მაია გიორგაძემ (თბილისი—II) — 64,2 ქულა. საპრიზო ადგილებზე გასული ქუთაისელი სპორტსმენების ირმა ყიფშიძისა და ხათუნა კვიტარიძის შედეგია შესაბამისად 56,8 და 55,3 ქულა. პირველთანრიგოსნებში თბილისიდან მხოლოდ ერთი ტანმოვარჯიშე გამოდიოდა — ქეთინო ონიკაური და გამარჯვებაც მას დარჩა — 68,85 ქულა. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა ლარისა სოლდატოვამ (62,55) და ალიონა თიბილოვამ (62,5) მეორე და მესამე შედეგი აჩვენეს.

„ლელოს“ კორ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს სპორტსა... ზოგადოება „დინამოს“ საქარ... თველოს რესპუბლიკური საბჭ...

# „და წვიმა... ბილიკებს შლის“

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილა გაზეთ „ლელოს“ ა. წ. 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნა. თბილისის „დინამოს“ სტადიონის დასავლეთი ტრიბუნის წინ მდებარე მძლეოსნური ბილიკების სწორ მონაკვეთზე სინთეტური საფარი მართლაც უხარისხოდ დაიგო. სამუშაოები, რომელსაც მიმდინარე წლის აპრილში ასრულებდა სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის კიევის სპეციალიზებული სამმართველო „სოიუზსპორტსინთეტიკა“ (უფროსი ა. ვდოვიჩენკო) 24 აპრილს დასრულდა. ე. წ. გამძლეობის ვადამ (20-დან 25 დღემდე) დაადგინა, რომ საფარი 720 კვადრატულ მეტრზე (მთელი მოცულობა კი 7.500 კვმ. შეადგენს) არ მაგრდება და დაგება შესრულებულია უხარისხოდ. ამის გამო დამკვეთმა ორგანიზაციამ — „დინამოს“ სპორტკომბინატმა არ გადაიხადა საფასური (262 ათასი მანეთი), რის შესახებ აცნობა სამუშაოთა მწარმოებელს „სოიუზსპორტსინთეტიკას“. 26 მაისს გაიგზავნა დეპეშა საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. ლუკაშის სახელზე თხოვნით, დაევალებინათ „სოიუზს... პეცსინთეტიკისათვის“ გამოე... წორებინა ზემოაღნიშნული ნაკლი.

5 ივნისს „სოიუზსპორტსინთეტ... იკის“ ლაბორატორიის უფროსმა ... ულიანოვმა და ბრიგადირმა შ. ბ... ნიამინოვმა თავიანთ დასკვნაში კი... დევ ერთხელ დაადასტურეს, რომ... სამუშაოები უხარისხოდაა შესრუ... ლებული და ივალდებულეს ზაფხუ... ლის პერიოდში, არაუგვიანეს აგვ... სტოში გადააკეთონ საფარი.

30 ივნისს სპორტსაზოგადოებ... „დინამოს“ საქართველოს რესპუ... ლიკურმა საბჭომ კიდევ ერთხელ... მიმართა საკავშირო სპორტკომიტე... ტის თავმჯდომარის მოადგილეს ა... ლუკაშს და „სოიუზსპორტსინთეტ... კის“ უფროსს ა. ვდოვიჩენკოს თხო... ვნით, დაეჩქარებინათ დაშვებულ... უხარისხობის გამოსწორება. იმავ... დღეს კიევიდან მივიღეთ პასუხ... „სოიუზსპორტსინთეტიკა“ გვიდას... ტურებს, რომ სამუშაოები შესრუ... ლდება აგვისტოში.

ნ. ვვახარია,
სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკურ... საბჭოს თავმჯდომარის პირველ... მოადგილე.

МОСКВА '86 ИГРЫ ДОБРОЙ ВОЛИ

# კეთილი ნების თამაშები

## რაინდთა შთამომავალი

(დასასრული)

ვახტანგი საიმედო ხუთჭიდელია. გუნდისთვის არაფერს დაიშურებს. როცა საჭიროა, იგი მზადაა შესაძლებლობების მაქსიმუმი კი არა, მეტიც გაიღოს. უნდა ნახოთ, როგორ ღელავს იგი, როცა თანაგუნდელთა ასპარეზობას უყურებს. იაგორაშვილის უპირველესი კონკურენტები პირადი პირველობისთვის ბრძოლაში მისივე თანაგუნდელები იყვნენ, მაგრამ ვახტანგს, როგორც ჭეშმარიტ რაინდს, არ შეუძლია მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქროს.

— კარგია, ტოლია! — ამხნევებდა ვახტანგი საფარიკაო ბილიკებზე მეტოქესთან შეჭიდებულ თანაგუნდელს ანატოლი სტაროსტინს. ასეთი გამხნევების ფასი ყველაზე უკეთ იმან იცის, ვისი მისამართითაც ეს სიტყვებია ნათქვამი: ესე იგი, ყველაფერი კარგად მიდის, შეგიძლია გაიმარჯვო და... ანატოლიც იმარჯვებდა.

**ანატოლი სტაროსტინი:**

— მე არ ვიცნობ მეორე სპორტსმენს, რომელიც საქმისთვის ასე თავდადებული იყოს. ყველაზე პასუხსაგებ მომენტშიც კი ვახტანგი სიმტკიცეს არ კარგავს. მასზე უფროს და გამოცდილ თანაგუნდელებსაც რწმენას გვმატებს. ვახტანგი ჩვენი იმედია.

...უკან დარჩა ხუთჭიდის ოთხი სახეობა, მძლეოსნური კროსიც და, ყველაფერი დამთავრდება — გაირკვევა გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობა. კროსში, ისევე როგორც ცურვაში, შედეგი შეიძლება წინასწარ დაგეგმო და მიზანსაც მიაღწიო, მაგრამ ლიდერთა ბრძოლის დროს სპორტსმენმა მეტოქის შესაძლებლობებსაც უნდა გაუწიოს ანგარიში. ვის მეტი შანსი აქვს გამარჯვებისა? ამ კითხვამ, როგორც ჭადრაკში გადადებულმა პარტიამ, მოსვენება დაუკარგა სპეციალისტებსა და მწვრთნელებსაც.

**ივანე ლუცენკო (ვახტანგ იაგორაშვილის მწვრთნელი):**

— სროლის შემდეგ შინ დავბრუნდით თუ არა, დავიწყეთ ვარიანტების დამუშავება, ქულების გამოთვლა. საჭირო იყო ტაქტიკური ვარიანტის შედგენა. საქმე გაართულა იმანაც, რომ ასეთი რანგის შეჯიბრების პროგრამაში ჩვენში პირველად იყო შეტანილი კროსი ჰანდიკაპით. უმალვე გამახსენდა ერევნის ტურნირი, შვარცისა და ავდეევის გამოსვლა, მათი ბრძოლის მანერა. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვერც შვარცსა და ვერც ავდეევს ვერ უნდა მოეგოთ ვახტანგისთვის. ესე იგი, ტაქტიკაც ამის გათვალისწინებით უნდა შეგვერჩია: ძლიერი, ძალების თანაბარი განაწილებით რბენა აღმართებში, მაგრამ ბოლო 500 მეტრისათვის ენერგიის შენარჩუნება — ეს იყო მთავარი გეზი. თუ საჭირო გახდებოდა, თუ პირველ-ორ კილომეტრზე რომელიმე მეტოქე წამოეწეოდა, მაშინ ვახტანგი სწრაფად უნდა გაჭრილიყო წინ. მაგრამ სათადარიგო ტაქტიკური ვარიანტის გამოყენება არ გახდა აუცილებელი.



კვარცხლბეკზეა კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი. საკდეს-საქინფორმის ფოტო.

ვახტანგი ცუდი მორბენალი არ არის, მაგრამ კროსში ასევე კარგად გამოდიან მისი უახლოესი მეტოქეები — ავდეევი, შვარცი, სტაროსტინი. ასეთ დროს წამებთან ჭიდილი არ არის მთავარი — ყველაფერს პიროვნული თვისებები, ტემპერამენტი, შინაგანი განწყობა, ხასიათის სიმტკიცე წყვეტს. ვახტანგი ექსტრემალურ ვითარებაში სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებს.

**ივანე ლუცენკო:**

— კროსის წინა ღამე თეთრად გაათენეს მსაჯებმა და სპეციალისტებმა. ხუთ საათამდე ბჭობდნენ, ვარიანტებს ითვლიდნენ, შესაძლებლობებს წონიდნენ... ერთნი ამბობდნენ, ავდეევი მოიგებსო, მეორენი სტაროსტინს ანიჭებდნენ უპირატესობას, მესამენი — იაგორაშვილს. რას ეყრდნობოდნენ იაგორაშვილის მომხრეები? პირველ ყოვლისა, სპორტსმენის ხასიათსა და ნებისყოფის სიმტკიცეს.

ოთხი სახეობის შემდეგ ვახტანგი მეორე ადგილზეა. წინ არის გ. იუფეროვი — 4362 ქულა. იაგორაშვილი ლიდერს 36 ქულით ჩამორჩება, მესამე ადგილზეა ი. შვარცი, რომელიც თავის მხრივ 44 ქულას აგებს ვახტანგთან. იმაში, რომ იაგორაშვილი იუფეროვს ხუთჭიდს მოუგებდა, ეჭვი არავის შეჰპარვია, მაგრამ შვარცი, ავდეევი, სტაროსტინი... თითოეულ მათგანს შეუძლია მძლეოსნურ კროსში ძალების მაქსიმალური დაძაბვით სასურველ შედეგს მიაღწიოს.

სტარტზე პირველი იუფეროვი დგება. ხუთჭიდში ასეა: კროსში სპორტსმენები იმ თანმიმდევრობით გამოდიან სტარტზე, რა ადგილიც ოთხი სახეობის შემდეგ უკავიათ ცხრილში. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იაგორაშვილი ლიდერს 36 ქულით ჩამორჩებოდა. თუ ამ ქულებს დროში გადავიყვანთ, იუფეროვთან ვახტანგი 12 წამს აგებდა (1 წამი 3 ქულაა). წესია ისიც, რომ სპორტსმენი სტარტს იმ ინტერვალის გათვალისწინებით იღებს, რამდენითაც წინა ადგილზე მყოფს ჩამორჩება. მაშ ასე, იაგორაშვილი 12 წამის შემდეგ გამოედევნა ლიდერს.

**გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“:** „პროგნოზით, იაგორაშვილი ფინიშთან მესამე-მეოთხე უნდა ყოფილიყო... უსაშველოდ გაიწელა დრო სტარტის შემდეგ. 10 წუთი, 11, 12 და... საკუთარ თვალებს არ ვუჯერებთ: ვახტანგი — მაღალი, შავგვრემანი — პირველი შემოიჭრა სტადიონზე და ფინიშისკენ გაემართა. დიახ, პირველი! დროც შესანიშნავია — 12.50,3. ხუთჭიდში კი ქართველი სპორტსმენის შედეგი მართლაც დიდოსტატურია — 5581 ქულა!“

აქვე დავძენთ, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე პაველ ლედნიოვმა იმავე ტრასის დაძლევას 13.06,0 მოანდომა და ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ფინიშთან არაქათგამოცლილი სპორტსმენები ფეხზე ველარ დგებოდნენ, ვახტანგი კი თითქმის ისევე გამოიყურებოდა, როგორც სტარტის წინ.

● **რა მოხდა ტრასაზე, როდის იგრძენით, რომ რბენასაც იგებდით?** — ვკითხე მას.

— იუფეროვს დაახლოებით კილომეტრ-ნახევრის შემდეგ დავეწიე. არც დაღლას ვგრძნობდი. ის იყო, გავუსწარი მეტოქეს, რომელიც ჩემზე 12 წამით ადრე გავიდა ტრასაზე, რომ წინ ბუჩქები დავინახე. ბილიკი შემოვლით გადიოდა, მაგრამ მე ბუჩქებს გადავევლე და გზა შევიმოკლე, ცხადია, დროც მოვიგე. იუფეროვმაც მომბაძა, გაუჭირდა, გადახტა, მაგრამ იქვე მოეკვეთა ფეხები — ძალა აღარ ეყო.

● **თავიდან გჯეროდათ რომ გაიმარჯვებდით?**

— ძალიან ძლიერ სპორტსმენებთან მიხდებოდა ბრძოლა. ამიტომ წინასწარ ვერაფერს ვიტყოდი.

● **როგორ არის საქმე, ხომ ხართ გამარჯვებისთვის განწყობილი?** — ეს ფარიკაობაში ასპარეზობის დღეს ვკითხე ვახტანგს.

— ძალიან ვეცდები, — მოკლედ გვიპასუხა.

იმავე დღეს დედას დაურეკა სასტუმროდან. დედამაც ეს ჰკითხა.

— აუცილებლად მოვიგებ! — უპასუხა ვახტანგმა.

თუმცა, ჩვენ ეს უკვე თბილისში შევიტყვეთ...

• • •

**სამი ოქროს მედალი ერთდროულად! ეს ჭეშმარიტად სპორტული გმირობაა. წარმატება კი მით უფრო საამაყოა, რომ იგი მოპოვებულია მეტად ძნელ პირობებში, როცა აბსოლუტურად ყველა სპორტსმენს, იმათაც კი, ვინც გუნდში ვერ მოხვდა, მაგრამ შეჯიბრებაზე მაინც დაუშვეს, შესაძლებლობა ეძლეოდა ებრძოლა, როგორც თამაშების, ისე სსრ კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლისათვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ შეჯიბრებაში ჩაება ჩვენი ქვეყნის 21 უძლიერესი სპორტსმენი. საბჭოთა ხუთჭიდელებს კი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ.**

• • •

**კიდევ ორიოდე კვირაც და სსრ კავშირის თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრები გუნდი იტალიაში მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა ერთხმად აღიარეს, რომ კეთილი ნების თამაშებისა და სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი ვახტანგ იაგორაშვილი ნაკრებში კვლავ შევა, როგორც ლიდერი და № 1 სპორტსმენი. იტალიაში ვახტანგთან ერთად შვარცი, ავდეევი და სტაროსტინი გაემგზავრებიან.**

**სექტემბერში კი ვახტანგს და მის თანაგუნდელებს კვლავ მოსკოვში ვიხილავთ. აქ უკვე მეგობრები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ოქროს მედალს შეეცილებიან ერთმანეთს.**

**თენგიზ თომაშვილი,**
„ლელოს“ სპეც. კორ.
მოსკოვი — თბილისი.



აი, ის მედლებიც, რომლებიც ვახტანგ იაგორაშვილმა მოიპოვა.

---

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## მოჭადრაკეები დაფებს მიუსხდნენ

**მინსკი, 11 ივლისი (ტელეფონით). გუშინ მინსკის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა ტურნირი.**

შეჯიბრება ორ ეტაპად გაიმართება. ჯერ მოეწყობა სამი შესარჩევი ტურნირი, მერე ფინალი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან I-II ადგილებზე გასული გუნდები. ქალთა და ვაჟთა გუნდების შედეგების ჩათვლა ცალ-ცალკე მოხდება.

მოჭადრაკეები ბრძოლას დღეს შეუდგებიან.

საქართველოს ქალთა გუნდი (დაფების მიხედვით — დიდოსტატები ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ოსტატი ქეთევან არახამია) შესარჩევ ტურნირში შეხვდება: I ტურში ყაზახეთის, II-ში — ესტონეთის, III-ში — სომხეთის და V-ში — მოსკოვის მოჭადრაკეებს.

საქართველოს ვაჟთა გუნდი (დაფების მიხედვით — გია გიორგაძე, მიხეილ იაელიანი, მიხეილ კრასენკოვი, გია ბაღათუროვი, ლაშა ჯანჯღავა) თავის ქვეჯგუფში შეხვდება: I ტურში მოლდავეთის, II-ში — აზერბაიჯანის, IV-ში — უკრაინის, V-ში — ესტონეთის გუნდს.

სასპარტაკიადო ტურნირი პირველად ჩატარდება ახალი რეგლამენტით: ტური გაგრძელდება 6 საათს ორი (მე-40 და მე-60 სვლებზე) კონტროლით.

ტურნირს უმასპინძლებს ბელორუსიის დედაქალაქის ჭადრაკის სასახლე. ჩვენი მოჭადრაკეები სასტუმრო „მინსკში“ დაბინავდნენ.

---

მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში

## ნახევარფინალში — მადრიდი

**მადრიდი.** კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე წინასწარი ტურნირების მატჩები დასასრულს უახლოვდება. სსრ კავშირის ნაკრებმა ურუგვაელებთან ანგარიშით 111:62 (58:33) გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში თამაშის უფლება გაინაღდა. ჩვენს გუნდში შედეგიანი თამაშით კვლავ ტიხონენკო გამოირჩეოდა — 24 ქულა.

ბოლოსწინა ტურმა ნახევარფინალური ჯგუფების კიდევ ხუთი მონაწილე დაასახელა. ესენია: აშშ, ესპანეთი, იუგოსლავია, იტალია და კანადა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს კალათბურთელებმა ეს უფლება პუერტო-რიკოს გუნდთან ძნელი გამარჯვების შემდეგ მოიპოვეს — 73:72 (42:40).

სხვა მატჩები ჯგუფებში ასე დამთავრდა: **I ჯგუფი.** ბრაზილია — საბერძნეთი 115:95 (56:45), ესპანეთი — პანამა 125:70 (58:43), საფრანგეთი — სამხრ. კორეა 101:84 (49:43); **II ჯგუფი.** კუბა — ანგოლა 81:53 (46:23), ავსტრალია — ისრაელი 98:91 (40:48); **III ჯგუფი.** ჩინეთი — სპილოს ძვლის ნაპირი 84:72 (48:35), იტალია — გფრ 85:76 (39:38), **IV ჯგუფი.** იუგოსლავია — არგენტინა 87:68 (40:41), კანადა — ჰოლანდია 96:79 (41:41), ახალი ზელანდია — მალაიზია 77:75 (43:35).

### ელვა-ინფორმაცია

**მადრიდი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის მეხუთე შეხვედრაც მოუგო ავსტრალიის გუნდს — 122:92 (45:46). გათამაშების შემდგომ ეტაპზე — ნახევარფინალში თამაშის უფლება საბჭოთა კალათბურთელების გარდა ესპანეთის, ბრაზილიის, აშშ-ის, ისრაელის, იტალიის, იუგოსლავიის კანადის, საბერძნეთის, ურუგვაის, ჩინეთისა და არგენტინის სპორტსმენებმაც მოიპოვეს.**

---

## თამაშების დღიური

**კალათბურთელ** ქალთა ტურნირის ბოლო ორი დღის მატჩებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აშშ — სსრ კავშირის გუნდების შეხვედრას ჰქონდა. ამერიკელებმა ძლიერად ჩაატარეს ეს ორთაბრძოლა და პირველი ადგილიც დაისაკუთრეს — 83:60 (39:25).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 65:61, აშშ — ბულგარეთი 67:58, სსრ კავშირი — ბრაზილია 77:72, ბულგარეთი — იუგოსლავია 67:58, ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 87:66.

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 5 | 0 | 391-311 | 10 |
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 356-324 | 9 |
| ბრაზილია | 5 | 3 | 2 | 399-383 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 344-350 | 7 |
| იუგოსლავია | 5 | 1 | 4 | 293-342 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 0 | 5 | 310-388 | 5 |

**ფრენბურთელ** ქალთა ტურნირში ჯგუფური ტურნირები დამთავრდა. 9 ივლისს მატჩები ასეთი შედეგებით აღინიშნა: გფრ — პერუ 0:3, აშშ — ჩეხოსლოვაკია 3:1, სსრ კავშირი — გდრ 3:0, იაპონია — კსდრ 3:0.

**პირველი ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 9-1 | 6 |
| პერუ | 3 | 2 | 1 | 7-3 | 5 |
| გდრ | 3 | 1 | 2 | 3-8 | 4 |
| გფრ | 3 | 0 | 3 | 2-9 | 3 |

**მეორე ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 3 | 0 | 9-1 | 6 |
| აშშ | 3 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| კსდრ | 3 | 1 | 2 | 3-7 | 4 |

გუნდები, რომლებიც ნახევარფინალში ვერ გავიდნენ, V-VIII ადგილებს გაითამაშებენ. ოთხი უძლიერესი ნაკრები კი მთავარი პრიზებისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

მთავარი ნახევარფინალების მონაწილენი ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — აშშ, იაპონია — პერუ.

**წყალბურთელებმაც** ჩაატარეს პირველი მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა შედეგებს: აშშ — ნიდერლანდები 12:5, უნგრეთი — გფრ 10:10, სსრ კავშირი — საფრანგეთი 10:2, აშშ — საბერძნეთი 11:5, უნგრეთი — ნიდერლანდები 8:7, სსრ კავშირი — გფრ 9:4.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 19-6 | 4 |
| აშშ | 2 | 2 | 0 | 0 | 23-10 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 18-17 | 3 |
| გფრ | 2 | 0 | 1 | 1 | 14-19 | 1 |
| ნიდერლანდები | 2 | 0 | 0 | 2 | 12-20 | 0 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 7-21 | 0 |

**სპრინტერ** ველოსიპედისტთა ტურნირი საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველმა ნომერმა ოთარ მჭედლიშვილმა კარგად დაიწყო, სასტარტო შეხვედრაში პოლონელი ალეშეკ ბურდელიაკი ადვილად დაამარცხა. მეორე წრეში ტრეკის საფარზე სამ-სამი ველოსიპედისტი გამოვიდა. ოთარ მჭედლიშვილს ბრძოლა ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ მარკ გორსკისთან (აშშ) და იტალიელ რენცო სარტისთან მოუხდა. მაგრამ იტალიელი რენცო დასაწყისშივე დაეცა და ბრძოლას გამოეთიშა. განმეორებით ცდაში ერთმანეთს მჭედლიშვილი და გორსკი დაუპირისპირდნენ.

რბოლა ოთარ მჭედლიშვილისათვის ხელსაყრელად აეწყო. ბოლო ვირაჟზე საბჭოთა ველოსიპედისტმა ხელთ იგდო კარგი მომენტი და მეტოქეს „გავლა“ დაუპირა. ამერიკელმა მდგომარეობის გადარჩენის მიზნით აკრძალულ ილეთს მიმართა — მეტოქე განზე გააგდო. ოთარმა წონასწორობა დაკარგა, დაეცა და საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. გორსკის ამ რბოლაში დამარცხება ჩაუთვალეს, მაგრამ ექიმებმა მჭედლიშვილს ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცეს.

მეორე მეოთხედფინალური სერიები გაიმართა. მიჰაელ ჰიუბნერმა (გდრ) აშშ-ს წარმომადგენელი ნელსონ ვეილზი დაამარცხა (2:0), ლუც ჰესლიჰმა (გდრ) — სკოტ ბერიმანი (აშშ) 2:0, ჰარი ნეივანდმა (ავსტრალია) — ნიკოლოზ კოვში (სსრ კავშირი) 2:0. მეოთხედფინალში კენჭისყრით ამერიკელი მარკ გორსკი ოთარ მჭედლიშვილს უნდა შეხვედროდა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო საბჭოთა ველოსიპედისტი სტარტზე ვერ გამოვიდა. გორსკის გამარჯვება მიეკუთვნა.

ამრიგად, კეთილი ნების თამაშების მთავარი პრიზებისთვის ბრძოლას მიჰაელ ჰიუბნერი, ლუც ჰესლიჰი, ჰარი ნეივანდი და მარკ გორსკი განაგრძობენ.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

**8 და 10 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XVI ტურის მატჩები.**

ჩვენი რესპუბლიკის გუნდები ამ ტურში სტუმრად გამოდიოდნენ: თბილისის დინამოელები — ხარკოვში, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები — დონეცკში. ამ ორ მატჩში ჩვენმა გუნდებმა მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლეს (დინამოელთა ფრე).

### „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (1:0)

**ხარკოვი. „მეტალისტის" სტადიონი. 8 ივლისი. 12.000 მაყურებელი.**
**„მეტალისტი": ხივუხა, კრიაჩკო, კუზნეცოვი, პანჩიშინი, კამარზაევი, მახინია (დუმანსკი, 68 წთ.), ლოზინსკი, ვაშჩენკო, ტალკო (ხუსლო, 84), ტარასოვი, აჯოევი.**
**„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, კუდინოვი, კაკილაშვილი, ხვანაძე, სულაქველიძე, უგრელიძე (ჩელებაძე, 75), ცაავა, მესხი, (გურული, 59).**
**გააფრთხილეს პანჩიშინი.**
**მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).**
**დუბლიორები — 0:0.**

თამაში ნელ ტემპში დაიწყო, ორივე გუნდის დაცვის ფეხბურთელები აშკარად, იოლად ჯაბნიდნენ თავდამსხმელებს, სტუმართაგან ძნელი იყო შეტევის ლიდერის გამორჩევა, „მეტალისტის" მხრივ კი აქტიური თამაშის შექმნას მხოლოდ ტარასოვი ცდილობდა და სწორედ მან შეძლო პირველი გოლის გატანა. 21-ე წუთზე ლოზინსკის მიერ საჯარიმოდან მოწოდებულ ბურთს მან მიმართულება შეუცვალა — 1:0.

თბილისელმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თამაში შესვენების შემდეგ. ახლა ისინი გაცილებით უფრო სწრაფად და ბევრს მოძრაობდნენ, საპასუხო ბურთი ადრევე, ჯერ კიდევ 51-ე წუთზე გაიტანა ჰედიამ, შემდეგ კი დინამოელებმა აშკარად ხელიდან გაუშვეს გამარჯვების მოპოვების რამდენიმე მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა. მესხმა, უგრელიძემ, ჰედიამ, ჩელებაძემ ვერ შეძლეს ბურთის გატანა ისეთ სიტუაციებში, როცა საჭირო იყო ოდნავ მეტი სიზუსტის ან სისწრაფის გამოჩენა.

თბილისის „დინამო" ამ მატჩში ფრეს დასჯერდა, თუმცა, აშკარად შეეძლო ორი ქულის აღება. თბილისელებს ახლა 16 განვლილ ტურში 7 მატჩი აქვთ ფრედ დამთავრებული, ლიმიტამდე კი, როგორც იცით, სამი ფრეა დარჩენილი...

### „შახტიორი" (დონეცკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 5:0 (4:0)

**დონეცკი. „შახტიორის" ცენტრალური სტადიონი. 9 ივლისი. 16.500 მაყურებელი.**
**„შახტიორი": ზოლოტნიცკი (ელინსკასი, 46), ვარნავსკი, სოპკო (აკიმენკო, 54),რადენკო, პარხომენკო, რუდაკოვი, იაშჩენკო, სოკოლოვსკი, პეტროვი, სმოლიანინოვი, დრაგუნოვი.**
**„ტორპედო": ქანთარია, ჰელიძე, პაიკიძე, მალანია, ვასაძე, ბარათაშვილი, კორძალიძე (ფრუიძე, 46), ჟორჟიკაშვილი, მეგრელაძე (დოჩია, 46), ხაგბა, შენგელია.**
**მსაჯი ი. ხავჩენკო (მოსკოვი).**
**დუბლიორები — 0:0.**

**დონეცკელმა** ფეხბურთელებმა მოიგეს ეს მატჩი და სატურნირო ცხრილის სათავეშიც გადაინაცვლეს, ამდენად, ცხადია, თუ რა მონდომებით და მობილიზებით იბრძოლებდნენ. ისინი. გარდა ამისა, სწორედ ამ მატჩის წინ შეუსრულდა არსებობის 50 წელი „შახტიორს". ფეხბურთელებმაც შესაფერისად აღნიშნეს თავიანთი იუბილე.

და, მაინც, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტორპედოელმა ფეხბურთელებმა ამ დღეს მოუნდომებლად, პასიურად ითამაშეს, მცველები ჩაკეტილი იყვნენ თავიანთ საჯარიმო მოედანზე და სისტემატურად, ყოველ სახიფათო მომენტში უშვებდნენ უხეშ, გამოუსწორებელ შეცდომებს.

პირველი ბურთი „შახტიორმა" მე-7 წუთზე გაიტანა კუთხური მოწოდების შემდეგ. ქუთაისელთა მცველებმა დინჯად აცალეს ახალგაზრდა ფეხბურთელს დრაგუნოვს მიელო ბურთი, დაემუშავებინა და ბადეში გაეგზავნა იგი. ათიოდე წუთის შემდეგ სტუმართა საჯარიმო მოედანზე გადაცემა მიიღო იაშჩენკომ და კვლავ შეუფერხებლად ითამაშა — 2:0.

დაახლოებით ასეთივე სიტუაციაში გაიტანეს რადენკომ და სმოლიანინოვმა კიდევ ორი გოლი და დონეცკის გუნდს უკვე შესვენებისთვის ფაქტიურად გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება. მერე 89-ე წუთზე, მასპინძლებმა თავიანთ აქტივს კიდევ ერთი ბურთი მიუმატეს და უშფოთველად, დარწმუნებულად აიღეს ორი სალიდერო ქულა. ამ მატჩში ტორპედოელებს თითქმის არც შეუქმნიათ რამდენადმე მაინც სახიფათო მომენტი „შახტიორის" კართან.

**მომავალ კვირას, 13 ივლისს, ჩვენი გუნდები კვლავ სტუმრად თამაშობენ. დინამოელები დონეცკში შეხვდებიან გათამაშების ლიდერს, ადგილობრივ „შახტიორს". ხოლო ქუთაისის „ტორპედო" ხარკოვში გამოვა „მეტალისტის" წინააღმდეგ.**

• • •

**10 ივლისს** ორი მატჩი უმაღლეს ლიგაში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:2, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „არარატი" (ერევანი) 4:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის ● ძირითადი შემადგენლობანი

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „შახტიორი" (დონეცკი) | 15 | 7 | 4 | 4 | 21-13 | 18 | (—12) |
| 2. | „დინამო" (მოსკოვი) | 14 | 7 | 4 | 3 | 18-13 | 18 | (—10) |
| 3. | „ტორპედო" (მოსკოვი) | 14 | 6 | 6 | 2 | 18-10 | 18 | (—10) |
| 4. | „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 15 | 6 | 6 | 3 | 23-18 | 18 | (—12) |
| 5. | „ნეფთჩი" (ბაქო) | 16 | 6 | 6 | 4 | 20-16 | 18 | (—14) |
| 6. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 16 | 6 | 4 | 6 | 17-17 | 16 | (—16) |
| 7. | „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 16 | 6 | 4 | 6 | 14-17 | 16 | (—16) |
| 8. | „ზენიტი" (ლენინგრადი) | 15 | 5 | 6 | 4 | 23-17 | 16 | (—14) |
| 9. | „დინამო" (თბილისი) | 16 | 4 | 7 | 5 | 13-17 | 15 | (—17) |
| 10. | „ქაირათი" (ალმა-ათა) | 15 | 4 | 5 | 6 | 12-21 | 13 | (—17) |
| 11. | „დინამო" (მინსკი) | 15 | 5 | 2 | 8 | 13-25 | 12 | (—18) |
| 12. | „სპარტაკი" (მოსკოვი) | 14 | 4 | 4 | 6 | 23-13 | 12 | (—16) |
| 13. | „დინამო" (კიევი) | 8 | 4 | 4 | 0 | 14-6 | 12 | (—4) |
| 14. | „მეტალისტი" (ხარკოვი) | 15 | 3 | 6 | 6 | 12-14 | 12 | (—18) |
| 15. | „არარატი" (ერევანი) | 16 | 3 | 5 | 8 | 9-17 | 11 | (—21) |
| 16. | „ტორპედო" (ქუთაისი) | 16 | 3 | 5 | 8 | 13-29 | 11 | (—21) |

## I ლიგა

**9 ივლისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXI ტურის შეხვედრები.**

### „დინამო" (ბათუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:1 (0:0)

**ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 9 ივლისი.**

**„დინამო": მამინაშვილი, გოგიტიძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, მაისურაძე, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, გორგილაძე, თვალაბეიშვილი, მაჭუტაძე.**

**„გურია": იმნაძე, დანელია, შვეცოვი, გილიგაშვილი, მ. თევზაძე, ებანოიძე (ე. თევზაძე), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, აკოფიანი (კონდრატიევი).**

**მსაჯი ე. შკოლა (ლუცკი).**

ლანჩხუთის „გურიის" ბათუმში ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მაყურებელთა შორის, თამაშს ახლომდებარე რაიონებიდანაც მრავლად დაესწრნენ ფეხბურთის მოყვარულები, რომლებმაც მეტად საინტერესო, დაძაბული და უშეღავათო ბრძოლა იხილეს. ორივე გუნდი მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად, თამაშში ხშირად ებმებოდნენ მეკარეებიც, კერძოდ, 38-ე წუთზე იმნაძემ ძლივს მოიგერია ჩიქოვანის მეტად სახიფათო დარტყმა.

სიმწვავე არ დამცხრალა თამაშის მეორე ნახევარშიც, მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ე. თევზაძემ გაიტანა მასპინძელთა კარში. ლანჩხუთელი ფეხბურთელები კვლავინდებურად გათამაშების ლიდერთა შორის იმყოფებიან.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:** „კუზბასი" (კემეროვო) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 2:2, ასკ (ხაბაროვსკი) — „დინამო" (სტავროპოლი) 4:2, „ისკრა" (სმოლენსკი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 0:4, „შინიკი" (იაროსლავლი) — ცსკა 1:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:3, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 0:2, ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი" (დუშანბე) 0:0, „ატლანტასი" (კლაიპედა) — „დაუგავა" (რიგა) 1:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0.

მორიგი მომდევნო, XXII ტურის შეხვედრები გაიმართება დღეს, 12 ივლისს. ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ ორჯონიკიძის „სპარტაკს", ხოლო ლანჩხუთის „გურია" აბოვიანში შეხვდება „კოტაიკს".

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 20 | 13 | 5 | 2 | 43-21 | 31 |
| ცსკა | 21 | 13 | 5 | 3 | 36-16 | 31 |
| „გურია" | 20 | 12 | 4 | 4 | 31-22 | 28 |
| „როტორი" | 20 | 12 | 1 | 7 | 31-18 | 25 |
| „პამირი" | 20 | 8 | 9 | 3 | 28-18 | 25 |
| „კოლოსი" | 21 | 9 | 6 | 6 | 20-20 | 24 |
| ასკ „კარ." | 20 | 9 | 5 | 6 | 36-23 | 23 |
| „როსტსელ." | 20 | 8 | 7 | 5 | 36-28 | 23 |
| „ფახთაქ." | 20 | 10 | 2 | 8 | 28-28 | 22 |
| „ლოკომ." | 20 | 8 | 6 | 6 | 27-21 | 22 |
| „დინამო" ბ. | 20 | 8 | 5 | 7 | 22-25 | 21 |
| „შინიკი" | 20 | 8 | 4 | 8 | 13-14 | 20 |
| „კოტაიკი" | 20 | 5 | 9 | 6 | 13-15 | 19 |
| „მეტალურ." | 19 | 7 | 4 | 8 | 23-21 | 18 |
| ასკ რ. | 20 | 7 | 4 | 9 | 19-21 | 18 |
| „ყუბანი" | 20 | 4 | 10 | 6 | 16-17 | 18 |
| „ფაკელი" | 20 | 6 | 5 | 9 | 18-23 | 17 |
| „სპარტაკი" | 20 | 5 | 7 | 8 | 27-27 | 17 |
| „დინ." სტ. | 20 | 3 | 10 | 7 | 21-23 | 16 |
| „ისკრა" | 21 | 5 | 4 | 12 | 11-29 | 14 |
| „ატლანტ." | 20 | 4 | 6 | 10 | 13-25 | 14 |
| „კუზბასი" | 20 | 3 | 8 | 9 | 19-33 | 14 |
| ასკ ხ. | 20 | 3 | 6 | 11 | 19-34 | 12 |
| „ნისტრუ" | 20 | 3 | 4 | 13 | 13-41 | 10 |

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

მოგვყავს რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XVII ტურის სტატისტიკური მონაცემები.

### I ლიგა

### აღმოსავლეთი ჯგუფი

**„არმაზი" (მცხეთა) — „იმედი" (თბილისი) 1:1, მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).** გოლები: ძაგანიშვილი („არმაზი"), კალუჟა („იმედი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: კიკნაძე, ლაბაძე („მეტალურგი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ყვარლელი ი. ბეროშვილი.

**„ივერია" (ხაშური) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 0:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლი: ქობელაშვილი („შევარდენი"-სპი).

**„კახეთი" (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:5. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: იაშვილი, გავარდაშვილი („კახეთი"), მანუჩაროვი, გამყრელიძე-4 (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„მადნეული" (ბოლნისი) — ასკ (თბილისი) 4:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ხურცილავა, ბაძგარაძე (ასკ თბ.), ქობულაძე, ბეს. უგულავა, ჯაგოვი-2 („მადნეული").

**აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის ამბავი, რომ ბოლნისის სტადიონზე კვლავ სერიოზული უწესრიგობანი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩზე საკმარისად იყვნენ მილიციის მუშაკები, ისინი რეაგირებას არ ახდენდნენ იმაზე, რომ შესვენებისა და თამაშის დამთავრების შემდეგ მაყურებელი მასობრივად გადმოდის მინდორზე, უამრავი ზედმეტი ხალხი თავს იყრის ფეხბურთელთა გასახდელებთან, მსაჯთა ოთახთან, მატჩის მომსახურე სამედიცინო პერსონალი არ იყო ჩაცმული შესაბამის თეთრ ხალათებში.**

**ყველაფერი ეს მით უფრო გასაკვირი და დასანანია, რომ „მადნეულის" გუნდი კარგა ხანია გათამაშების ლიდერთა ჯგუფში იმყოფება და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვალდებულია საგანგებოდ იზრუნოს ბოლნისის ბაზაზე საჭირო წესრიგის დასაცავად.**

### დასავლეთი ჯგუფი

**„დინამო" (გაგრა) — „სქური" (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ტესლენკო, კვარაცხელია, რაგანიანი.

**„დინამო" (ზუგდიდი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლი: როგავა („დინამო").

მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ფეხბურთელი ო. თუთბერიძე.

**„იმერეთი" (ქუთაისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ბრეგაძე, უკლება („საპოვნელა"), მოსეშვილი („იმერეთი").

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ტ. ლელუაშვილი და ქუთაისელი გ. მოსეშვილი.

**„ამირანი" (ოჩამჩირე)—„სალხინო" (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: გუჩუა, გაბისონია („ამირანი"), ბართაია („სალხინო").

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლი: ალანია („ეგრისი").

**„სულორი" (ვანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ვერულავა-2 („სულორი").

### გათამაშების ცხრილები

### I ლიგა

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

### აღმოსავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურ." | 17 | 12 | 3 | 2 | 29-11 | 27 |
| „შევ."-სპი | 16 | 12 | 1 | 3 | 34-15 | 25 |
| „მადნეული" | 18 | 11 | 1 | 6 | 40-24 | 23 |
| ფიზ. ინს. | 18 | 9 | 3 | 6 | 29-21 | 21 |
| „დურუჯი" | 18 | 8 | 4 | 6 | 14-17 | 20 |
| „კახეთი" | 17 | 8 | 3 | 6 | 25-27 | 19 |
| „ქართლი" | 16 | 7 | 3 | 6 | 11-17 | 17 |
| „არმაზი" | 15 | 5 | 4 | 6 | 21-23 | 14 |
| „იმედი" | 16 | 3 | 7 | 6 | 12-23 | 13 |
| „ივერია" | 16 | 5 | 2 | 9 | 11-19 | 12 |
| „სპარტაკი" | 15 | 5 | 1 | 9 | 15-24 | 11 |
| ასკ თბ. | 16 | 3 | 2 | 11 | 10-29 | 8 |

### დასავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." ზ. | 16 | 10 | 1 | 5 | 39-20 | 21 |
| „სამეგრ." | 16 | 8 | 3 | 5 | 21-13 | 19 |
| „დინ." გ. | 15 | 8 | 2 | 5 | 26-20 | 18 |
| „ეგრისი" | 16 | 7 | 4 | 5 | 22-23 | 18 |
| „მერცხალი" | 16 | 8 | 1 | 7 | 22-13 | 17 |
| „სალხინო" | 16 | 7 | 3 | 6 | 24-20 | 17 |
| „ამირანი" | 16 | 7 | 2 | 7 | 19-25 | 16 |
| „სქური" | 16 | 7 | 2 | 7 | 19-29 | 16 |
| „საპოვნელა" | 16 | 7 | 1 | 8 | 24-25 | 15 |
| „შადრევ." | 15 | 7 | 0 | 8 | 24-23 | 14 |
| „სულორი" | 15 | 5 | 3 | 7 | 16-18 | 13 |
| „იმერეთი" | 16 | 4 | 3 | 9 | 14-22 | 11 |
| „ბახმარო" | 15 | 4 | 1 | 10 | 10-28 | 9 |

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, 27-ე ტირაჟებისა, რომლებიც 6 ივლისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 625 337 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (13 ბარათი) მოგება 3.009 მანეთია, ოთხისთვის (1.100) — 51, სამისთვის (23.093) — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 5.207 739 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4924) — 113, სამისთვის (148.358) — 5.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 12 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); კეთილი ნების თამაშები — 9.35 (1); 11.25 (1); 13.00 (2); 16.30 (1); 20.00 (2); 21.15 (2); 22.40 (1); 0.10 (1).

**საქართველოს ტელევიზია.** 12 ივლისი. კეთილი ნების თამაშები — 11.25, 16.30, 22.40, 0.10.

**საქართველოს რადიო.** 12 ივლისი. კეთილი ნების თამაშები — — 8.15; — რიტმული ვარჯიში — 11.40; სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. I ლიგა. „დინამო" (ბათუმი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — 22.00.

ფეხბურთი

## ევროპის საკლუბო ტურნირები

**ციურიხი.** აქ გაიმართა ევროპის ფეხბურთელთა საკლუბო ტურნირების კენჭისყრა (პირველი წრის მატჩები 17 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს გაიმართება). საბჭოთა კლუბების მოწინააღმდეგეები არიან: **ჩემპიონთა თასზე** — „ბეროე" (ბულგარეთი) — „დინამო" (კიევი); **თასების მფლობელთა თასზე** — „ჰაკა" (ფინეთი) — „ტორპედო" (მოსკოვი); **უეფა-ს თასზე** — „ლუცერნი" (შვეიცარია) — „სპარტაკი" (მოსკოვი); „ლეგია" (პოლონეთი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „დინამო" (მინსკი) — „რაბა ეტო" (უნგრეთი). კენჭისყრის სრულ სიას გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**


**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი**
**რეგბი**
13 ივლისი
**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი („ბ" ფინალური ჯგუფი)**
**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი)**
დასაწყისი 19 საათზე


**საქართველოს სსრ კლასიკური და თავისუფალი სტილის ჭიდაობის ფედერაციები, რესპუბლიკის ვეტერანი მოჭიდავეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი მოჭიდავე, სამამულო ომის მონაწილე, სპორტის ოსტატი**

**ირაკლი (ცაცო) იასონის ძე უიფიანი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**